სოციალური მედიის როლი სახელმწიფო სტრუქტურებში

ნინო მინდორაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.“

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სალომე დანელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

განაცხადი

მიზნად ისახავს წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვას პლაგიატისგან. ის წარმოადგენს ნაშრომის ავტორის განაცხადს მის მიერ წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ.

„როგორც წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომიმის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ გამოსაქვეყენებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო მინდორაშვილი ხელმოწერა

თარიღი. 19.01.2023

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოჩენილი არის, თუ როგორ იყენებს სოციალურ მედიას სახელმწიფო სტრუქტურები. სწრაფი ტექნოლოგიების განვითარებამ და სწრაფი კომუნიკაციების საჭიროებამ განაპირობა სოციალური მედიის წარმოშობა, რაც სახელმწიფო სტრუქტურის ორგანიზაციების განუყოფელი ნაწილი გახდა. რაც შეეხება საქართველოს, დღეს ფაქტიურად არ არსებობს საქართველოში ორგანიზაცია, რომელიც არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. სოციალური ქსელები სახელმწიფო ორგანიზაციებს ეხმარება მომხმარებლებთან უწყვეტი კონტაქტის რეჟიმში იყვნენ.

სოციალურ მედიას შეუძლია უამრავი დადებითი ეფექტის მოტანა. სოციალური მედიის საშუალებით სახელმწიფო სტრუქტურებს შეუძლიათ მიაღწიონ სტრატეგიულ და ტაქტიკურ მიზნებს. ორგანიზაციებისათვის სოციალური მედია არის მოქალაქეებთან კომუნიკაციის და დროის დაზოგვის ეფექტური საშუალება. რაც შეეხება სოციალური მედიის არასწორი მიმართულებით გამოყენებას მან შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს განვიხილოთ, თუ როგორ იყენებენ სოციალურ მედიას სახელმწიფო სტრუქტურებში. ნაშრომში გაანალიზებულია სოციალური მედია და მისი მნიშვნელობა, ასევე სოციალური ქსელის ცალკეული სახეები. ნაშრომში განხილულია სოციალური ქსელის წარმოშობა და მისი განვითარება, სოციალური მედიის უპირატესობები და გამოწვევები. განვიხილავთ, თუ როგორ იყენებს სოციალურ მედიას სახელმწიფო სტრუქტურა და როგორ ხორციელდება ელექტრონული მმართველობა საჯარო უწყებებში.

ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩავატარეთ კვლევა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, კვლევის პირველ ნაწილში ჩვენს რესპონდენტებს წარმოადგენდნენ სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხოლო კვლევის მეორე ნაწილში ჩავატარეთ გამოკითხვა სოციალურ ქსელში, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გაგვეგო, როგორ აფასებენ მოქალაქეები სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ სოციალური მედიის საშუალებების გამოყენებას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სახელმწიფო ორგანიზაციების უმრავლესობა იყენებს სოციალურ მედიას. ორგანიზაციების უმეტესობა სოციალურ ქსელს, Facebook-ს ანიჭებს უპირატესობას. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე რესპონდენტების გრკვეულმა ნაწილმა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ენდობა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განთავსებულ ინფორმაციას, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ ისინი გადამოწმებულ ინფორმაციას ავრცელებენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური მედია, საჯარო ორგანიზაცია კრიზისი, კომუნიკაცია და სხვა.

Abstract

The paper shows how social media is used by state structures. The development of fast technologies and the need for fast communications led to the emergence of social media, which became an integral part of the organizations of the state structure. As for Georgia, today there is literally no organization in Georgia that does not use social networks. Social networks help government organizations to be in continuous contact with customers.

Social media can have many positive effects. Through social media, government structures can achieve strategic and tactical goals. For organizations, social media is an effective way to communicate with citizens and save time. As for using social media in the wrong direction, it can have a negative impact.

The reason of research was to consider how social media is used in state structures. The paper analyzes social media and its importance, as well as individual types of social networks. The paper discusses how the social network was created and how it evolved. The paper also discusses the advantages and challenges of social media.

During the working period, we we did research research which consists two parts, in the first part of the research, our respondents were representatives of state organizations, and in the second part of the research, we conducted a survey on social networks, our purpose was to find out how citizens evaluate the use of social media by state organizations.

Based on the results of ower research, it can be said that the majority of state organizations in Georgia use social media. Most organizations prefer the social network Facebook. Based on the research results is clear part of the respondents evaluated positively and noted that they trust the information posted by the state structures, because they are sure that they are disseminating verified information.

Key search words: social media, public organization crisis, communication and others.